საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №107/ნ
2022 წლის 22 სექტემბერი

ქ. თბილისი

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 21/08/2019, 430030000.22.022.017797) პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2^1. წინამდებარე წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც სურთ სკოლაში უკრაინულ სექტორზე დასაქმება. აღნიშნული პირები შეირჩევიან სკოლის მიერ დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 11 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **თამარ მახარაშვილი**